

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №117
2018 წლის 23 ივლისი

ქ. ვანი

„ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №38 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, 03.01.2018 წელი, 010250050.35.121.016266) შეტანილ იქნეს ცვლილება და ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი დამტკიცდეს დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ვანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე ლილუაშვილი

დანართი №1

ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი

მუხლი 1. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

ვანის საზღვროს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	14,711.0	8,056.0	6,655.0	11,817.8	5,186.6	6,631.2	11,048.3	4,113.3	6,935.0
გადასახადები	914.2	0.0	914.2	927.4	0.0	927.4	500.0	0.0	500.0
გრანტები	13,304.7	8,056.0	5,248.7	10,407.5	5,186.6	5,220.9	10,042.6	4,113.3	5,929.3
სხვა შემოსავლები	492.1	0.0	492.1	482.9	0.0	482.9	505.7	0.0	505.7
ხარჯები	6,543.1	721.1	5,822.0	5,779.3	558.5	5,220.8	6,352.3	401.3	5,951.0
შრომის ანაზღაურება	1,698.8	64.1	1,634.7	1,432.3	57.8	1,374.5	1,698.0	60.0	1,638.0
საქონელი და მომსახურება	1,320.3	589.6	730.7	1,248.0	431.5	816.5	1,008.8	192.1	816.7



პროცენტი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	53.0	0.0	53.0
სუბსიდიები	2,788.7	65.0	2,723.7	2,380.9	65.0	2,315.9	2,744.6	65.0	2,679.6
გრანტები	12.9	0.0	12.9	5.3	0.0	5.3	0.6	0.0	0.6
სოციალური უზრუნველყოფა	687.8	2.4	685.4	608.2	4.2	604.0	638.4	0.0	638.4
სხვა ხარჯები	34.6	0.0	34.6	104.6	0.0	104.6	208.9	84.2	124.7
საოპერაციო სალდო	8,167.9	7,334.9	833.0	6,038.5	4,628.1	1,410.4	4,696.0	3,712.0	984.0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	6,811.5	6,010.6	800.9	5,269.3	3,813.2	1,456.1	7,542.0	6,344.7	1,197.3
ზრდა	6,937.1	6,010.6	926.5	5,374.8	3,813.2	1,561.6	7,642.0	6,344.7	1,297.3
კლება	125.6	0.0	125.6	105.5	0.0	105.5	100.0	0.0	100.0
მთლიანი სალდო	1,356.4	1,324.3	32.1	769.2	814.9	-45.7	-2,846.0	-2,632.7	-213.3
ფინანსური აქტივების ცვლილება	1,278.4	1,289.4	-11.0	730.8	811.1	-80.3	-2,846.0	-2,632.7	-213.3
ზრდა	1,289.4	1,289.4	0.0	811.1	811.1	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	1,289.4	1,289.4		0.0			0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0			811.1	811.1		0.0		
კლება	11.0	0.0	11.0	80.3	0.0	80.3	2,846.0	2,632.7	213.3
ვალუტა და დეპოზიტები	11.0		11.0	80.3		80.3	2,846.0	2,632.7	213.3
ვალდებულებების ცვლილება	-78.0	-34.9	-43.1	-38.4	-3.8	-34.6	0.0	0.0	0.0
კლება	78.0	34.9	43.1	38.4	3.8	34.6	0.0	0.0	0.0
საშინაო	78.0	34.9	43.1	38.4	3.8	34.6	0.0	0.0	0.0
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები



	გამოყოფილი ტრანსფერები			გამოყოფილი ტრანსფერები			გამოყოფილი ტრანსფერები		
შემოსულობები	14,836.6	8,056.0	6,780.6	11,923.3	5,186.6	6,736.7	11,148.3	4,113.3	7,035.0
შემოსავლები	14,711.0	8,056.0	6,655.0	11,817.8	5,186.6	6,631.2	11,048.3	4,113.3	6,935.0
არაფინანსური აქტივების კლება	125.6	0.0	125.6	105.5	0.0	105.5	100.0	0.0	100.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	13,558.2	6,766.6	6,791.6	11,192.5	4,375.5	6,817.0	13,994.3	6,746.0	7,248.3
ხარჯები	6,543.1	721.1	5,822.0	5,779.3	558.5	5,220.8	6,352.3	401.3	5,951.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	6,937.1	6,010.6	926.5	5,374.8	3,813.2	1,561.6	7,642.0	6,344.7	1,297.3
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	78.0	34.9	43.1	38.4	3.8	34.6	0.0	0.0	0.0
ნაშთის ცვლილება	1,278.4	1,289.4	-11.0	730.8	811.1	-80.3	-2,846.0	-2,632.7	-213.3

მუხლი 3. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

ვანის საზღვროს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 11048.3 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	14,711.0	8,056.0	6,655.0	11,817.8	5,186.6	6,631.2	11,048.3	4,113.3	6,935.0
გადასახადები	914.2	0.0	914.2	927.4	0.0	927.4	500.0	0.0	500.0
გრანტები	13,304.7	8,056.0	5,248.7	10,407.5	5,186.6	5,220.9	10,042.6	4,113.3	5,929.3
სხვა შემოსავლები	492.1	0.0	492.1	482.9	0.0	482.9	505.7	0.0	505.7

მუხლი 4. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

ვანის საზღვროს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 500,0 ათასი ლარის ოდენობით,



დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
გადასახადები	914.2	927.4	500.0
საშემოსავლო გადასახადი	415.7	663.8	300.0
ქონების გადასახადი	498.5	263.6	200.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	414.7	165.7	120.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2.4	1.6	5.0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	2.4	1.6	5.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	61.8	62.1	50.0
ფიზიკური პირებიდან	46.3	46.0	40.0
იურიდიული პირებიდან	15.5	16.1	10.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	19.6	34.2	25.0
ფიზიკური პირებიდან	4.5	10.4	5.0
იურიდიული პირებიდან	15.1	23.8	20.0

მუხლი 5. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

ვანის საზღვროს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 10042.6 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	13304.7	8056.0	5248.7	10407.5	5186.6	5220.9	10042.6	4113.3	5929.3
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	13304.7	8056.0	5248.7	10407.5	5186.6	5220.9	10042.6	4113.3	5929.3
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	5,396.0	147.3	5,248.7	5,364.8	143.9	5,220.9	6,074.3	145.0	5,929.3
გათანაბრებითი ტრანსფერი	5,248.7	0.0	5,248.7	5,220.9	0.0	5,220.9	5,929.3	0.0	5,929.3
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების	147.3	147.3	0.0	143.9	143.9	0.0	145.0	145.0	0.0



განსახორციელებლად									
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	7,908.7	7,908.7	0.0	5,042.7	5,042.7	0.0	3,968.3	3,968.3	0.0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	7,247.4	7,247.4	0.0	5,042.7	5,042.7	0.0	3,968.3	3,968.3	0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	661.3	661.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 6. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 505,7 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	492.1	482.9	505.7
შემოსავლები საკუთრებიდან	366.4	162.9	326.1
პროცენტები	24.1	20.3	20.0
რენტა	342.3	142.6	306.1
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	342.3	140.0	306.1
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	41.5	49.1	39.6
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	28.2	34.8	29.6
სანებართვო მოსაკრებელი	2.3	6.1	4.6
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	25.9	27.9	25.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	13.3	14.3	10.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	13.3	14.3	10.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	55.3	48.7	70.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	28.9	222.2	70.0

მუხლი 7. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 6352.3 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
	მათ შორის	მათ შორის	მათ შორის



დასახელება	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	6543.1	721.1	5822.0	5779.3	558.5	5220.8	6352.3	401.3	5951.0
შრომის ანაზღაურება	1698.8	64.1	1634.7	1432.3	57.8	1374.5	1698.0	60.0	1638.0
საკონელი და მომსახურება	1320.3	589.6	730.7	1248.0	431.5	816.5	1008.8	192.1	816.7
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	53.0	0.0	53.0
სუბსიდიები	2788.7	65.0	2723.7	2380.9	65.0	2315.9	2744.6	65.0	2679.6
გრანტები	12.9	0.0	12.9	5.3	0.0	5.3	0.6	0.0	0.6
სოციალური უზრუნველყოფა	687.8	2.4	685.4	608.2	4.2	604.0	638.4	0.0	638.4
სხვა ხარჯები	34.6	0.0	34.6	104.6	0.0	104.6	208.9	84.2	124.7

მუხლი 8. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ვანის საზღვროს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 7542.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების ცვლილება	6,811.5	6,010.6	800.9	5,269.3	3,813.2	1,456.1	7,542.0	6,344.7	1,197.3
არაფინანსური აქტივების ზრდა	6,937.1	6,010.6	926.5	5,374.8	3,813.2	1,561.6	7,642.0	6,344.7	1,297.3
არაფინანსური აქტივების კლება	125.6	0.0	125.6	105.5	0.0	105.5	100.0	0.0	100.0

მუხლი 9. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ვანის საზღვროს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:



ფ.კ.	დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,287.0	0.0	2,287.0	2,036.2	0.0	2,036.2	2,521.3	0.0	2,521.3
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,287.0	0.0	2,287.0	2,036.2	0.0	2,036.2	2,521.3	0.0	2,521.3
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,287.0	0.0	2,287.0	2,036.2	0.0	2,036.2	2,431.3	0.0	2,431.3
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	90.0	0.0	90.0
702	თავდაცვა	79.9	79.9	0.0	77.7	77.7	0.0	91.8	80.0	11.8
704	ეკონომიკური საქმიანობა	5,966.3	5,601.4	364.9	4,201.2	3,124.4	1,076.8	6,635.9	5,646.8	989.1
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	1.5	0.0	1.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70421	სოფლის მეურნეობა	1.5	0.0	1.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7045	ტრანსპორტი	5,964.8	5,601.4	363.4	4,201.2	3,124.4	1,076.8	6,615.1	5,646.8	968.3
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5,964.8	5,601.4	363.4	4,201.2	3,124.4	1,076.8	6,615.1	5,646.8	968.3



7047	ეკონომიკის სხვა დარგები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	20.8	0.0	20.8
70473	ტურიზმი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	20.8	0.0	20.8
705	გარემოს დაცვა	1,212.6	801.4	411.2	639.5	243.8	395.7	747.4	344.4	403.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	388.4	0.0	388.4	395.7	0.0	395.7	403.0	0.0	403.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	824.2	801.4	22.8	243.8	243.8	0.0	344.4	344.4	0.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	171.3	17.8	153.5	456.4	223.5	232.9	486.2	266.0	220.2
7063	წყალმომარაგება	29.7	17.8	11.9	14.1	0.0	14.1	8.0	0.0	8.0
7064	გარე განათება	137.8	0.0	137.8	136.6	0.0	136.6	125.3	0.0	125.3
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	3.8	0.0	3.8	305.7	223.5	82.2	352.9	266.0	86.9
707	ჯანმრთელობის დაცვა	65.4	65.0	0.4	65.5	65.0	0.5	190.6	183.5	7.1
7072	ამბულატორიული მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.5	0.0	0.5	125.6	118.5	7.1
70721	ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.5	0.0	0.5	125.6	118.5	7.1
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	65.4	65.0	0.4	65.0	65.0	0.0	65.0	65.0	0.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,689.6	0.0	1,689.6	1,190.7	54.5	1,136.2	1,280.6	0.0	1,280.6
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1,027.6	0.0	1,027.6	425.5	0.0	425.5	567.5	0.0	567.5
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	612.0	0.0	612.0	715.2	54.5	660.7	663.1	0.0	663.1
	რელიგიური და სხვა									



7084	სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	50.0	0.0	50.0	50.0	0.0	50.0	50.0	0.0	50.0
709	განათლება	1,313.3	163.8	1,149.5	1,788.4	581.8	1,206.6	1,287.5	141.1	1,146.4
7091	სკოლამდელი აღზრდა	1,313.3	163.8	1,149.5	1,788.4	581.8	1,206.6	1,287.5	141.1	1,146.4
710	სოციალური დაცვა	694.8	2.4	692.4	698.5	1.0	697.5	753.0	84.2	668.8
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	359.1	0.0	359.1	351.7	0.0	351.7	363.0	0.0	363.0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	316.3	0.0	316.3	284.6	0.0	284.6	296.0	0.0	296.0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	42.8	0.0	42.8	67.1	0.0	67.1	67.0	0.0	67.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	8.0	0.0	8.0	9.0	0.0	9.0	8.0	0.0	8.0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	10.2	0.0	10.2	10.6	0.0	10.6	30.0	0.0	30.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	126.9	0.0	126.9	113.4	0.0	113.4	120.0	0.0	120.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	33.3	0.0	33.3	21.4	0.0	21.4	142.5	84.2	58.3
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	157.3	2.4	154.9	192.4	1.0	191.4	89.5	0.0	89.5
	სულ	13,480.2	6,731.7	6,748.5	11,154.1	4,371.7	6,782.4	13,994.3	6,746.0	7,248.3

მუხლი 10. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

ვანისაზღვროს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -2846.0 ათასი ლარის ოდენობით.



მუხლი 11. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ვანისაზღვროს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -2846.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ვანისაზღვროს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 0,0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 13. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების მიზნით ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 90,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილი წესისა და მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 145.0 ათასი ლარი მიიძღვრება: ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად 65.0 ათასი ლარი. ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილებათა განსახორციელებლად 80.0 ათასი ლარი.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობისა და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 16. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

ვანისაზღვროს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები (პროგრამული კლასიფიკაციის პირველი დონე), მათ ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები (მეორე დონე) და ქვეპროგრამები (მესამე დონე) შემდეგი რედაქციით:

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და იგი ვანის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. აქედან გამომდინარე, 2018 წლის განმავლობაში გაგრძელდება მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა, სანიაღვრე-საწრეტი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა და რეაბილიტაცია, დასუფთავების ღონისძიებები, გარე განათებისა და წყლის სისტემის მშენებლობა და რეაბილიტაცია, ურბანული ტერიტორიის კეთილმოწყობა.

1.2 გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილების, სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის მიღწევის მიზნით, მუნიციპალიტეტი განაგრძობს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებს. 2018 წლის განმავლობაში განხორციელდება ქალაქ ვანში ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე, სალხინო-ზენობნის და ისრითის გზების რეაბილიტაცია, სულორის ადმინისტრაციულ ერთეულში დავითაშვილების უბანში ხიდის მშენებლობა. თანადაფინანსება გაეწევა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხებით საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით შესასრულებელ სამუშაოებს. დაფინანსდება სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება. დასრულდება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 დეკემბრის № 2712 და 2016 წლის 18 ივლისის №1409 განკარგულებებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად გამოყოფილი თანხებიდან შესასრულებელი სამუშაოები. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის №136 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხებით შესრულდება ტობანიერი-ყუმურის, ამალღება-საპრასიის (კოპიტნარისა და ინაშაურის მიმართულებით), გორა-უხუთის, ზედავანი-გადიდის, ბზვანის თემიდან დაფნარი-ვანი-ბაღდათის მაგისტრალთან დამაკავშირებელი, ქალაქ ვანში 26 მაისის პირველი შესახვევის, წერეთლის, გიორგამის, წმინდა ნინოს და ერისთავის ქუჩებზე საავტომობილო გზების რეაბილიტაცია. საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მიზნით განხორციელდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.



1.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ღონისძიებები, რომლითაც გაუმჯობესდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო, სანიტარული და ჰიგიენური პირობები. დაფინანსდება სანიაღვრე საწრეტი არხების, გარე განათების ქსელის და წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, დასუფთავების ღონისძიებები.

1.2.1 სანიაღვრე-საწრეტი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 დეკემბრის №2712 და 2016 წლის 18 ივლისის №1409 განკარგულებებით სტიქიის შედეგები სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად გამოყოფილი თანხებიდან შესასრულებელი სამუშაოები.

1.2.2 დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული და ჰიგიენური მდგომარეობის უზრუნველყოფა. სანიტარული წესრიგის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა. მუნიციპალიტეტში მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

1.2.3 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

განხორციელდება შუამთის ადმინისტრაციულ შენობაში აჭარლების დასახლებაში სასმელი წყლის რეზერვუარის რეაბილიტაცია, ქალაქ ვანში წმინდა ნინოს ქუჩაზე და ამალეების ადმინისტრაციულ ერთეულში თვითდინებითი წყალსადენი სისტემის მოწყობისათვის მასალების შექმნა.

1.2.4 გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)

გარე განათება წარმოადგენს ღამის პერიოდში საზოგადოების კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილების აუცილებელ პირობას. გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირების მიზნით დაფინანსდება ქსელში მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯების ანაზღაურება. განხორციელდება შუამთისა და დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულებში გარე განათების სანათების მოწყობა.

1.3 ურბანული ტერიტორიის კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. ვანში 26 მაისის და სოლომონ მეორის ქუჩების კვეთაზე, თავისუფლების ქუჩაზე ეპარქიის მიმდებარედ და ცენტრალური მოედნის ჩრდილოეთით სკვერების რეაბილიტაციის სამუშაოები; თავისუფლებისა და სანაპიროს ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გზებისა და ბილიკების რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. თავისუფლების ქუჩა №64; №66; №68 მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე წყალმიმღები ღარებისა და წყალდამშვები მილების შეცვლის სამუშაოები. მთისძირის ადმინისტრაციულ ერთეულში სკვერის რეაბილიტაცია.

1.4 სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 04)

1.5 სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 03 05)

2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, არსებული შენობების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.



2.1 სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამა გულისხმობს ა(ა)იპ – ვანის საბავშვო ბაღების გაერთიანების დაფინანსებას. გაერთიანება სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს წარმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამების სტანდარტების და განათლების სფეროს ნორმატიული აქტების შესაბამისად. გაერთიანების მიზანია ხელი შეუწყოს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნორმალურ აღზრდას, მათ ჰარმონიულ განვითარებას და სკოლისთვის მომზადებას, ბავშვთა აზროვნების, ემოციური სამყაროს და ნებისყოფის ფორმირებას, ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 24 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 700-მდე ბავშვი. მუნიციპალიტეტი მთლიანად აფინანსებს საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ხარჯს, უზრუნველყოფს საბავშვო ბაღების მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას.

2.2 სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 02)

საბავშვო ბაღების გამართულად და სათანადო დონეზე ფუნქციონირების მიზნით, მუნიციპალიტეტი აგრძელებს საბავშვო ბაღების მშენებლობას და რეაბილიტაციას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შუამთის საბავშვო ბაღის მშენებლობის მეორე ეტაპის სამუშაოები. მომზადდება საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მთისძირის, ზეინდრისა და მიქელეფონის საბავშვო ბაღების რეაბილიტაციისათვის.

3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და მათ ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურის და სპორტის დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას, კულტურისა და სპორტის სფეროს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას და გაუმჯობესებას. გაგრძელდება ვანისა და ბაღდათის ეპარქიის ფინანსური მხარდაჭერა.

3.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სარაგბო კლუბ ვანის აიეტის, სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების, სპორტული ღონისძიებების, სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობის და რეაბილიტაციის დაფინანსება.

3.1.1 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების პოპულარიზაციის და ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდება ფეხბურთში, მძლეოსნობაში, ჭადრაკში, ჭიდაობასა და სპორტის სხვადასხვა სახეობაში მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებული სპორტული ღონისძიებები.

3.1.3 საფეხბურთო კლუბი სულორი ვანი (პროგრამული კოდი 05 01 03)

3.1.4 სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 01 04)

ახალგაზრდა თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების პოპულარიზაციის და ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტი კვლავ გააგრძელებს სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ვანში საავადმყოფოსთან, შუამთის, ზეინდრის, ტობანიერის და დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულებში მინიფეხბურთის სტადიონების რეაბილიტაცია, საჭადრაკო სკოლის რეაბილიტაციის და სხვადასხვა სპორტული ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

3.1.5 სარაგბო კლუბი ვანის აიეტი (პროგრამული კოდი 05 01 05)

ქვეპროგრამა გულისხმობს სარაგბო კლუბ ვანის აიეტის რაგბის ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსებას. კლუბის მიზანია იზრუნოს რაგბის, როგორც მნიშვნელოვანი სპორტული ფენომენის, პოპულარიზაციისათვის.

3.1.6 სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება (პროგრამული კოდი 05 01 06)



ქვეპროგრამა მოიცავს ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების დაფინანსებას. გაერთიანებაში ფუნქციონირებს ფეხბურთის, ჭიდაობის, ძიუდოს, სამბოს, მძლეოსნობის, რაგბის, ველოსპორტის, კალათბურთის, ჭადრაკის და საბრძოლო ხელოვნების სექციები. ქვეპროგრამის მიზანია ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, სკოლის პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება, მასობრივი სპორტის განვითარება, სასპორტო სკოლის მოსწავლეთათვის შესაბამისი სპორტის სახეობათა მიხედვით მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა.

3.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აგრძელებს კულტურის დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას და ამ სფეროს ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას.

3.2.1 კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამა გულისხმობს ა(ა)იპ კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრის დაფინანსებას, რომლის მიზანია ითანამშრომლოს ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეებთან, კულტურის სფეროს დაწესებულებებთან, შემოქმედებით კოლექტივებთან და ცალკეულ ხელოვნებთან. შეიმუშაოს კულტურული პროგრამები თავისი საქმიანობის სფეროში, უზრუნველყოს სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ჩატარება. ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციისა და შენარჩუნების მიზნით დააფინანსოს ხალხური სიმღერის ანსამბლები.

3.2.2 კულტურის სფეროს ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ.ვანში, ჭავჭავაძის ქუჩა №42-ში მდებარე ცენტრალური ბიბლიოთეკის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

3.2.3 სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01)

